განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მედიცინა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | დიპლომირებული მედიკოსი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0912 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 364 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>#687; 20.11. 2012 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | აზიმ მირზაზადე, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხათუნა საგანელიძე<br>ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლიანა საგინაშვილი<br>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ თევზაძე<br>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

განხილული პროგრამა არის ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ქართულ ენაზე, რომელმაც წინა აკრედიტაცია მიიღო 2013 წელს. პროგრამა ხორციელდება12 სემესტრის განმავლობაში 364 კრედიტით. პროგრამა განახლდა 2017 წელს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის ახალი ვერსიის გამოსვლის შემდეგ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალის მიერ ადგილზე ჩატარებული ვიზიტი პირველ დღეს (2021 წლის 28 აპრილი) მოიცავდა პირისპირ შეხვედრებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში (კსუ), მათ შორის კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, კლინიკური უნარების ცენტრსა და ბიბლიოთეკაში, ასევე სამ კლინიკაში, რომლებშიც ხდება კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების როტაცია. ადგილზე ვიზიტებში უცხოელმა ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღესZoom ონლაინ პლატფორმისსაშუალებით, რაც, როგორც წესი, კარგი და შესანიშნავი ხარისხისაა და იძლეობაკსუ-ს პერსონალთან, კლინიკების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და პირობების უშუალოდ დათვალიერების საკმარის შესაძლებლობას.
ვიზიტის მეორე დღეს ჩატარდა 13 შეხვედრა უნივერსიტეტისა და მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კანცლერთან და რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სხვადასხვა დონის სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან, დამხმარე სამსახურებთან და ასევე, დამსაქმებლებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, კსუ–მ აჩვენა სტანდარტებთან შესაბამისობა უმეტეს სფეროებში (1, 3, 4 და 5), გარკვეული ხარვეზებით დანარჩენში, რამაც გამოიწვია მეტწილად შესაბამისობა ზოგიერთ სტანდარტთან.
ძირითადი ეს ეხება მე-2 სტანდარტის სფეროს, სადაც სერიოზული პრობლემა არსებობს სწავლებისა და სწავლის მეთოდების და შეფასების სისტემის შესაბამისობაში

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის 2017 წლის ვერსიასთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და გააცნობიეროთ ECTS– ი განაწილების სპაციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც.
  - გადაიხედოს კურიკულუმი და სავალდებულო კურსებში შეტანილ იქნეს ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია.
  - ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული
  - სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით.
  - საფუძვლიანად გადაიხედოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების მიღწევა.
  - სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს საფუძლიანი რევიზია კლინიკურ როტაციებში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდებისა, როგორებიცაა პორტფოლიო და Mini-CEX-ის მსგავსი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება.
  - რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მეტი გამჭვირვალობისთვის მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არჩევა ხდება განსხვავებული წესით.
  - პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლინიკებთან მემორანდუმებში უნდა მიეთითოს კლინიკური კურსების სახელწოდება და სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას კლინიკაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - აკადემიური პერსონალისათვის სწავლებისა და სწავლის აქტიური მეთოდების დანერგვის უფლებამოსილების მინიჭება.
  - საგნის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს საბაზისო სასწავლო კურსების შეფასების სისტემის დივერსიფიკაცია.
  - სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტი შეფასებისთვის, პროგრამის კლინიკურ სასწავლო კურსებში სასურველია კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება.

- კურსების სილაბუსებში სტუდენტებს მიეთითოს სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები.
- სტუდენტთა სერვისების სისტემას დაემატოს მომსახურების ფუნქციები.
- გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მეტი გაცვლითი პროგრამა გახდეს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის.
- ბეჭდური სახელმძღვანელოები განახლდეს უფრო ახალი ან უახლესი გამოცემებით.
- გადაიხედოს ბიუჯეტი და თანხები გადანაწილდეს პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად; მაგალითად, ლაბორატორიისთვის, აგრეთვე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგებისათვის გამოყოფილი წლიური დაფინანსების ოდენობა და ა.შ.
- თვითშეფასების ანგარიშში იმ აქტივობების უკეთ აღწერა, რომლებიც კსუ-მ განახორციელა გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენებით მაგალითად, უფრო დეტალური ინფორმაცია კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უცხოელი ექსპერტის ვიზიტის შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული, მიღწევადი და რეალისტურია და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. კსუ-ს წესდების თანახმად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე აკადემიურ-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების, კულტურათშორისი განათლებისა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრების მეშვეობით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი და დემოკრატიული ფასეულობების მცოდნე თაობის აღზრდას. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ამავე მიზნებს უსვამს ხაზს.<br>○ ისინი მოდიფიცირდა და მოყვანილი იქნა შესაბამისობაში მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიასთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდება;<br>○ კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ობიექტურად იქნა განსაზღვრული და მოიცავს ცამეტივე დომენს, დაფუძნებულს მედიცინის დარგობრივი მახასიათებლისკრიტერიუმებზე, რომელთა დაკმაყოფილებაც სტუდენტებს უნდა შეეძლოთ სწავლის დამთავრებისას.
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ არსებობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის ძალიან კარგად ორგანიზებული სისტემა. უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტების სწავლის შედეგებს და მათ ანალიზს სემესტრების მიხედვით. შედეგების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა გაუსის განაწილებასთანშედარებები. ამის საფუძველზე, არაპირდაპირი მეთოდი აფასებს როგორც სილაბუსის შინაარსის სიძლიერეს, ისე ლექტორების აქტივობებს.
- ასევე, წარმოდგენილია კლინიკური უნარების ცენტრში 12 სადგურიან OSCE-ზე სტუდენტთა შედეგების ანალიზი.
- მე-18 დანართში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი მუდმივად აანალიზებს სტუდენტების მიერ პროგრამით

გათვალისწინებული შედეგების მიღწევის პროცესს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების (PLO) შეფასების ანგარიში;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | [redacted] | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ დაშვების მოთხოვნები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე სტუდენტების მიღებას. დაშვების წინაპირობები შესაფერისია სტუდენტებისთვის, რათა მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს.<br>○ პროგრამაში საქართველოს მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, თუ ისინი გადააჭარბებენ კომპეტენციის დადგენილი მინიმალურ ზღვარს უნივერსიტეტის მიერ მითითებულ საგნებში. დაშვების მოთხოვნები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის.<br>○ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში დეტალური ინფორმაცია აიტვირთება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ამასთან, სტუდენტებისთვის ინფორმაცია |

განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge).

- სტუდენტთა ჩარიცხვის წინაპირობაა, რომ აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა მინიმუმ 41 ქულით და ქიმია-ბიოლოგია 35 + 1 ქულით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებულია წარადგინოსქართული და ინგლისური ენის ცოდნის მტკიცებულება კანონით დადგენილი წესით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა

| |
|---|
| უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. კსუ–ს მიერ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მოსამზადებელი ეტაპი შედგებოდა შრომის ბაზრის შესწავლის, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების განსაზღვრის, ინფორმაციისა და რესურსების მობილიზაციისა და სამუშაო ჯგუფის ფორმირებისაგან, რომელიც საჭირო იყო დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად.<br>• საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელ ეტაპზე სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, პრაქტიკოსი სპეციალისტები, დამსაქმებლები, სტუდენტები. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც შეისწავლა პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტისა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან. პოზიტიური გადაწყვეტილების შემდეგ, აკადემიურმა საბჭომ გამოსცა დადგენილება პროგრამის დამტკიცების შესახებ.<br>• კომპეტენციების ეტაპობრივი განვითარების უზრუნველსაყოფად, კურიკულუმი შედგენილ იქნა ლოგიკური გზით, მარტივი საგნებიდან უფრო რთულ საგნებზე გადასვლის პრინციპის დაცვით.<br>• კურიკულუმის თითოეული კურსი წარმოადგენს პროგრამის ნაწილს და განსაზღვრავს მიზნებსა და სწავლის შედეგებს.<br>• საგანმანათლებლო პროგრამა ერთსაფეხურიანია და ნაწილობრივ აგებულია პროგრამაში საბაზისო და კლინიკური დისციპლინების ინტეგრირების პრინციპზე. თვითშეფასების ანგარიშის მიმოხილვით აშკარაა, რომ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია ხორციელდება კურიკულუმში პირველივე წლის დასაწყისიდან და გრძელდება ბოლო სემესტრამდე. სწავლის საბაზისო ეტაპიდან (მეორე სემესტრიდან), სტუდენტებში კლინიკური უნარების სწავლის ადრეული ეტაპიდანგანვითარების უზრუნველსაყოფად, შემოდის ისეთი კურსები, როგორიცაა კლინიკური უნარები.<br>• პროგრამა მოიცავს 364 ECTS კრედიტს. 351 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია ძირითადი, ხოლო 13 ECTS კრედიტი - არჩევითი კურსებისათვის. კლინიკური უნარების განვითარებისათვის სულ გათვალისწინებულია 17 კრედიტი, ხოლო სამეცნიერო უნარების კურსებისათვის გამოყოფილია 12 კრედიტი.<br>• I წელს ისწავლება ინგლისური ენა 9 კრედიტით, ხოლო მეორე წელს - ასევე 9 კრედიტით. ეს სტუდენტებს აძლევს იმის უნარს, რომ თანამედროვე, უახლესი ცოდნის მისაღებად, მე-3 წლიდან ისწავლონ სამედიცინო ინგლისურენოვანი ლიტერატურა ქართული ენის გამოყენებით.<br>• I - VI სემესტრები 184 კრედიტით ძირითადად ეძღვნება საბაზისო მედიცინის შესწავლას. ამასთან, ასევე ხდება ვერტიკალური ინტეგრაცია კლინიკურ დისციპლინებთან, ისევე, როგორც კლინიკური და ზოგადი უნარების კურსებთან. |

- პროგრამაში კომპონენტების თანმიმდევრობა და დაშვების წინაპირობები შეესაბამება სწავლის შედეგებს. ინტეგრაცია არის ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ნაწილობრივ სპირალური. მეორე სემესტრიდან კურიკულუმში შესულიაკლინიკური უნარების განვითარება მანეკენებსა და სიმულატორებზე.
- უფრო მაღალ კურსებზე სტუდენტები შესაბამისად სწავლობენ კლინიკურ დისციპლინებს პარტნიორ კლინიკებში, ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, პაციენტის საწოლთან პრაქტიკული უნარების ასათვისებლად, რისთვისაც გამოყოფილია შესაბამისი საკონტაქტო საათები. პროგრამაში შეტანილი სასწავლო კურსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა შეთავსებადი და ლოგიკურია, განაწილებულია პროპორციულად; მათი შინაარსი ვითარდება მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე, დაწყებული საბაზისო - ზოგადი ინფორმაციით, დამთავრებული დარგის სექტორული დისციპლინებით. ეს გარემოება განსაზღვრავს პროგრამის შემდგომ კომპონენტზე წვდომის წინაპირობების ლოგიკას.
- კურიკულუმი და სილაბუსები აღწერენ თითოეულ კურსზე დაშვების წინაპირობებს, რომლებიც კურსის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისია.
- საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 364 ECTS კრედიტს, 360 – ის ნაცვლად, რისთვისაც პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი მიზეზი.
- გაუგებარია, რატომ არის ფიზიკა, ბიოლოგია და ქიმია არჩევითი კურსები სწავლის საბაზისო ეტაპზე, როდესაც ისინი წარმოადგენენ სამედიცინო განათლების საფუძველს.
- ზოგადი ქირურგიის შესასწავლად გამოყოფილი 59 საკონტაქტო საათი ცოტაა; იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადი ქირურგია მნიშვნელოვანი კომპონენტია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისათვის, აუცილებელია ამ მიმართულებით საკონტაქტო საათების გაზრდა პროგრამაში.
- წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 364 ECTS- ს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს. დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, მედიცინის პროგრამა მოიცავს 360 ECTS - 6 წელს და არ არსებობს შეზღუდვა მეტი კრედიტის მინიჭების თაობაზე. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებზე ექსპერტებმა ვერ მიიღეს მკაფიო პასუხი იმ მიზეზზე, თუ რატომ გადაწყვიტა გუნდმა პროგრამაში დამატებითი ECTS ქონა.
  - #3 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციების თანახმად, თითოეულ სემესტრში შეიძლება 30 კრედიტის და მაქსიმუმ 15 კრედიტის აღება ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით. 364 კრედიტის არსებობა აშკარად ცვლის სემესტრებში კრედიტების განაწილებისადმი მიდგომას და სტუდენტთათვის სასწავლო გრაფიკის ორგანიზაციულ პროცესს. პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა უნდა იცოდნენ და ესმოდეთ კრედიტების განაწილების სპეციფიკა, იქონიონ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და აცნობიერებდნენ ECTS– ის განაწილების სპაციფიკას, მის როლს პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია

გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და გააცნობიეროთ ECTS– ი განაწილების სპაციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც.
- გადაიხედოს კურიკულუმი და სავალდებულო კურსებში შეტანილ იქნეს ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია.
- ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საერთო ჯამში, კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. კრედიტების რაოდენობა შეეფერება თითოეული კურსის შინაარსს. მაგრამ, ზოგიერთ საბაზისო დისციპლინაში (მაგალითად, მიკრობიოლოგია, ზოგადი ფარმაკოლოგია), კრედიტის ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა არ არის დასაბუთებული. საკონტაქტო საათების რაოდენობა აღემატება ან ახლოსაა დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობასთან, მაშინ, როდესაც სტუდენტს გაცილებით მეტი დრო სჭირდება მასალის დამოუკიდებლად მოსამზადებლად.
- ზოგიერთ შემთხვევაში, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები არის რელევენტური, თუმცა არა უახლესი. მაგალითად, ნელსონის პედიატრიის სახელმძღვანელოს მე-19 გამოცემა (2011 წლის), ან ოქსფორდის პედიატრიის სახელმძღვანელოები (2013 წლის) ნახსენებია, როგორც სავალდებულო ლიტერატურა. ან უილიამსის მეანობის სახელმძღვანელოს 24-ე გამოცემა (2014 წლის) შეტანილია შარდ-სასქესო სისტემის დაავადებათა მოდულში, რომელიც გარკვეულწილად მოძველებულია და არსებობს ამ წიგნების ახალი გამოცემა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კურსების სილაბუსებში სტუდენტებს მიეთითოს სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

| |
|---|
| შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დანართები აჩვენებენ, რომ:<br>○ კსუ-ს აქვს ყველა სტუდენტისათვის პროგრამა, რომელიც მოიცავს მის კურიკულუმთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევების თემებს.<br>○ კსუ-მ დიდი შესაძლებლობა მისცა მედიკოს სტუდენტებს ჩარულიყვნენ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. არსებობს უამრავი სამეცნიერო შეხვედრა, როგორიცაა ზოგიერთი სპეციალობის გაცნობა ან კონფერენციები (რომლებიც ეძღვნება ახალგაზრდებსა და სტუდენტებს და ასევე, უფრო ზოგადი კონფერენციები), რომლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ წვლილის შეტანა. სტუდენტს, აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მისი პროექტების საგრანტო დაფინანსების კონკურსებში. ეს აჩვენებს, რომ შექმნილია ენერგიული ატმოსფერო სტუდენტების სამეცნიერო ჩართულობისათვის.<br>• თვითშფასების ანგარიშში არაფერია ნათქვამი პრაქტიკულ კომპონენტზე, თუ როგორ ხდება მისი სწავლება, ხელმძღვანელობა თუ შეფასება. მიუხედავად ინფორმაციის არარსებობისა თვითშეფასების ანგარიშში, კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დოკუმენტის გადახედვით, შეგვიძლია ვიპოვოთ დეტალები კლინიკური უნარების კურსის შესახებ სტუდენტთა სწავლის ადრეული ეტაპებიდან დაწყებული გვიან ფაზებამდე, რაც ძირითადად წარმოადგენს კლინიკურ როტაციებს, სპეციფიკური კრედიტებით უმეტეს როტაციებში, მათ შორის შინაგან მედიცინაში. ზოგად ქირურგიასა და პედიატრიაში, კლინიკური უნარების კურსის ჩათვლით, რომელშიც არის კომუნიკაციის უნარების კურსთან დაკავშირებული რამოდენიმე კონკრეტული ნაწილი. ასევე არის პრევენციის, |

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტისკურსები.

- სპეციფიკური კურსები პროფესიონალიზმის, კლინიკური არგუმენტაციისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ, სამედიცინო ეთიკა და სამართალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, ვერ მოიძებნა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასა და სილაბუსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სწავლების მეთოდები, რომლებიც აღწერილია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დოკუმენტში, მოიცავს ლექციას, სემინარს, დისკუსიას / დებატებს, ანალიზისა და სინთეზის მეთოდს, პრეზენტაციას, პრაქტიკულ სწავლებას, კლინიკურ მუშაობას, გუნდურ მუშაობას, კლინიკურ სწავლებას (საწოლთან სწავლებას), CBL, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), როლურ თამაშებს, პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას, ლაბორატორიულ აქტივობას, მეთვალყურეობას და ა.შ. ქაღალდზე ამ მეთოდების სათანადო კომბინაცია იძლევა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.
- თუმცა ის, რაც შევძელით გვენახა სილაბუსებში და ასევე კლინიკებში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების დროს, ცხადყოფს, რომ სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები, რომლებიც რეალურად ხორციელდება საბაზისო ეტაპზე (1 - 3 სასწავლო წელს), არის ლექციები, პრაქტიკული ტრენინგები და სემინარები, ხოლო კლინიკურ ეტაპზე (მე –4 – მე –6 სასწავლო წელი) - ლექციები და სწავლება ზოგიერთ მცირე ჯგუფში. ლექციების დომინირება საბაზისო მეცნიერებათა კურსებში არ შეესაბამება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ხაზგასმულია სტანდარტში 2.5.
- დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსია ხაზს უსვამს კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების მიდგომას დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისადმი. ეს ნიშნავს, რომ მთელი პროგრამა უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსდამთავრებულებმა მიაღწიონ განსაზღვრულ კომპეტენციას განსაზღვრულ დონეზე. ეს კომპეტენციები შემუშავებულია რამდენიმე სფეროში, რომლებშიც უნარების კომპონენტები შემდეგია:
    - პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა
    - კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება და დაავადების მართვის გეგმაზე მსჯელობა
    - დახმარების უზრუნველყოფა გადაუდებელ სამედიცინო სიტუაციებში (პირველი დახმარება და რეანიმაციული ზომები)
    - სამკურნალო პრეპარატების დანიშვნა
    - პრაქტიკული პროცედურების განხორციელება
    - სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვა
    - ეფექტიანი კომუნიკაცია სამედიცინო კენტექსტში
    - პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება
    - მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება
    - ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება
    - სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის მეცნიერული

    პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება
  - ჯანმრთელობის დაცვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივ ჯანდაცვაშიჩართვა
  - პრობლემური საკითხები და ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური საქმიანობა
  - პროფესიონალიზმი
- კსუ-სდიპლომირებულიმედიკოსისპროგრამისდაასევესილაბუსებისმიმოხილვითაშკარაა, რომპროგრამადაკურსებისსწავლისშედეგებიშესაბამისადიქნაგადახედილი. მაგალითად, კლინიკურიროტაციებისსილაბუსებისუმეტესობაშიარსებობსსწავლისასეთიშედეგები.
(ქვემოთწარმოდგენილიმოტანილიაგულსისხლძარღვთადარესპირატორულიმოდულისსილაბუსებიდან)
მოდულისდასრულებისასსტუდენტსშეუძლია:
  - გაუწიოს პაციენტების კონსულტაცია, შეაგროვოს ანამნეზი; ფიზიკურად გასინჯოს როგორც თერაპიული, ასევე ქირურგიული პროფილის პაციენტი გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების პათოლოგიით;
  - დაუნიშნოს პაციენტს სათანადო გამოკვლევები და გააკეთოს სწორი ინტერპრეტაცია; შემთხვევის საფუძველზე მოახდინოს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების ტიპიური და საერთო დაავადებების, სინდრომებისა და სიმპტომების დიფერენციალური დიაგნოსტიკა;
  - იფიქროს კლინიკურად და მიიღოს გადაწყვეტილებები; შეაფასოს და გააცნობიეროს კლინიკური შემთხვევის სირთულე;
  - განიხილოს დაავადების მართვის გეგმა პაციენტთან და მის მომვლელებთან; შეიმუშაოს ქრონიკული დაავადების მართვის გეგმის მტკიცებულებებზე დაყრდნობით;
  - განსაზღვროს და სწორად შეაფასოს პირობები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას; დაეხმაროს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობაში მყოფ პაციენტს;
  - მონაწილეობა მიიღოს გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის სხვადასხვა გავრცელებული როგორც თერაპიული, ისე ქირურგიული დაავადებების მქონე პაციენტთა მართვაში; მონაწილეობა მიიღოს ძირითად ქირურგიულ მანიპულაციებსა და ინტერვენციებში ტუტორის მეთვალყურეობის ქვეშ;
  - შეიძინოს ოპერაციული ქირურგიის პრინციპები, მათ შორის ოპერაციის წინა, ოპერაციული და პოსტოპერაციული მოვლისა და მონიტორინგის პრინციპები;
  - განიხილოს და შეაფასოს პაციენტისათვის მედიკამენტების ან სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობა, აგრეთვე პოტენციური სარგებელი და რისკები, იხელმძღვანელოს საკუთარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით;
  - ჯგუფში მუშაობისას და კონფერენციებზე კლინიკური შემთხვევების განხილვისას დაიცვას საკუთარი მოსაზრება არგუმენტირებულად, პროფესიული ეთიკის პრინციპების გამოყენებით; მოუსმინოს განსხვავებულ მოსაზრებას და პატივს სცეს მას; პაციენტებთან, კოლეგებთან, პაციენტების ნათესავებთან მოახდინოს კომუნიკაციის უნარის დემონსტრირება.
  - დაიცვას პაციენტის უფლებები, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპები ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში;
- აშკარაა,

რომისეთიდიდიამოცანისშესასრულებლადარსებობსრეალურისაჭიროებასტუდენტებისმნიშვნელოვანიჩართვისაპაციენტებთანურთიერთობასადამათმოვლაში, რათაყველასტუდენტმაშეძლოსყველაზემოაღნიშნულიუნარისმიღწევა. მაგრამაშკარაა, რომსაერთოსაკონტაქტოსაათებისრაოდენობაკლინიკურიროტაციებისდროსარის 3 საათიდღეში. მინიმუმ 1 დაზოგიერთროტაციაში 2 საათიეთმობალექციებსდამხოლოდ 1-დან 2 საათამდერჩებაჯგუფურისაქმიანობისათვის, ბევრსხვასაქმიანობასთანერთად. ზოგიერთკლინიკურროტაციაშიაღნიშნულიიყოაკადემიურიპერსონალისმიერპალატებისშემოვლაზედასწრებაანპაციენტისვიზიტზედაკვირვება. ყველაროტაციისანალიზიშეგიძლიათიხილოთშემდეგცხრილში.

| No. | სათაური | სწავლება და სწავლა<br>მეთვალყურეობის ქვეშ პაციენტთან ჩართულობით | შეფასება<br>(პორტფოლიო, OSCE, Mini-CEX) |
|---|---|---|---|
| 1 | ალერგოლოგია | - | - |
| 2 | ანესთეზიოლოგია | + | - |
| 3 | კლინიკური ჰემატოლოგია | - | - |
| 4 | კლინიკური უნარები (კომუნიკაცია) | - | - |
| 5 | დერმატოლოგია | +/- | - |
| 6 | გადაუდებელი მედიცინა | + | - |
| 7 | ინფექციური დაავადებები | +/- | - |
| 8 | ყბა-სახის ქირურგია | + | - |
| 9 | გულ-სისხლძარღვთა და რესპირატორული | + | - |
| 10 | მოდული - კლინიკური მედიცინა | +/- | - |
| 11 | მოდული - ონკოლოგია და პალიატიური მზრუნველობა | -/+ | - |
| 12 | პედიატრია | - | - |
| 13 | მოდული - შარდ-სასქესო დაავადებები | - | OSCE |
| 14 | მეანობა და გინეკოლოგია | + | OSCE |
| 15 | ბავშვთა ქირურგია | + | - |
| 16 | პედიატრია - მოწინავე | - | OSCE |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კურსი | | |
| 17 | ფსიქიატრია | - | - |
| 18 | რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები | +/- | - |

- სილაბუსებში მხოლოდ სწავლის შედეგების შეტანა არ არის საკმარისი და ამასთან უნდა ახლდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდების საფუძვლიანი გადასინჯვა. ეს საჭიროებს მედიკოს სტუდენტთა უფრო მეტ პრაქტიკულ ტრენინგს მეთვალყურეობის ქვეშ და გამოხმაურების მიღებას მათი მოსწრების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- დაწესებულებაში ვიზიტები.

**რეკომენდაციები:**

- საფუძვლიანად გადაიხედოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების მიღწევა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- აკადემიური პერსონალისათვის სწავლებისა და სწავლის აქტიური მეთოდების დანერგვის უფლებამოსილების მინიჭება

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

- სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი პირველივე შეხვედრაზე გააცნობს სტუდენტებს მათი ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიან პროცედურას, ასევე, წარადგენს სილაბუსს და კურსის მიზანს.
- დაგეგმილი პროცედურები უზრუნველყოფენ სტუდენტის ინფორმირებას მიღწეული შედეგებისა და არსებული ხარვეზების შესახებ და აძლევს მას სწავლის შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობას. ამრიგად, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და სტუდენტები სრულად არიან ინფორმირებულნი.
- თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, სტუდენტის შეფასების სისტემა დამაკმაყოფილებელია და აბსოლუტურად შეესაბამება სტანდარტებს.
- სტუდენტების ცოდნისა და უნარების შესაფასებლად გამოიყენება ზეპირი, ტესტური, შუალედური და საბოლოო გამოცდები. თეორიული ცოდნა ფასდება შემდეგი მეთოდებით: ქვიზი, პრეზენტაცია, რეფერატი/ნაშრომი, ზეპირი გამოკითხვა, შემთხვევის ანალიზი და სხვ.
- პრაქტიკული და კლინიკური უნარების შეფასება მოიცავს: პრაქტიკული უნარების დემონსტრირების მეთოდს, ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას (OSCE).
- საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტი ორიენტირებულიასწავლის შედეგების მიღწევაზე და შეთავსებადია სწავლის სპეციფიკურ მეთოდებთან. უნივერსიტეტში შემუშავდა და წარმატებით იქნა გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების 100 ქულიანი სისტემა. სემესტრის მსვლელობაში შეფასებებისათვის გათვალისწინებულია 60 ქულა, ხოლო საბოლოო შეფასებისათვის - 40 ქულა. აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა საბაზისო საგნებში თითქმის უნიფიცირებულია და ძირითადად გამოიყენება ზეპირი გამოკითხვა, ქვიზები და შუალედური შეფასება. რეკომენდებულია, რომ შეფასების სისტემა იყოს კარგად მორგებული დისციპლინების ხანგრძლივობასა და სპეციფიკაზე.
- ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა არაფერი იცის შეფასების ზოგიერთი უახლესი მიდგომისა და მეთოდის შესახებ და საჭიროებს ტრენინგს.
- ექსპერტებმა ვერ მიიღეს დეტალური პასუხი იმის თაობაზე, თუ რა პრინციპით ხდება სტუდენტის ხელახლა დაშვება გამოცდაზე, თუ მან ვერ ჩააბარა მოდულში შეტანილი ერთ-ერთი დისციპლინა.
- სტუდენტები ცოდნის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციას იღებენ სასწავლო კურსის სილაბუსიდან სასწავლო პროცესის მართვის სისტემის „გონის“ მეშვეობით. ამავე სისტემის საშუალებით, სტუდენტები მთელი სასწავლო პროცესის მსვლელობაში იღებენ ინფორმაციას მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესახებ. გამოცდების პროცესს

ზედამხედველობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

